სარეკლამო აქციის „ალპენ გოლდი: პრიზი თითოეულ შეფუთვაში“ ჩატარების წესები

(შემდგომში „წესები“)

1. სარეკლამო აქციის დასახელება და მიზანი

1.1 **სარეკლამო აქცია „ალპენ გოლდი: პრიზი თითოეულ შეფუთვაში“** (შემდგომში „აქცია“) ტარდება ამ წესებით მიხედვით და პირობებით, ატარებს წმინდა სარეკლამო ხასიათს, არ არის დაფუძნებული რისკზე და არ არის გათამაშება/ლატარია.

აქცია ტარდება შპს „მონდელიზ საქართველო“-ს შოკოლადის პროდუქტებთან მიმართებაში, მიზნად ისახავს მყიდველების ყურადღების მიქცევას „ალპენ გოდლი“-ს სასაქონლო ნიშნის მქონე პროდუქტებზე, პროდუქტის მიმართ ინტერესის შექმნასა და შენარჩუნებაზე, მომხმარებელთა მოთხოვნის სტიმულირებაზე და, შესაბამისად, პროდუქციის რეალიზაციას საქართველოში.

2. ინფორმაცია დამკვეთის, აქციის შემსრულებლის და ტექნიკური ოპერატორის შესახებ.

2.1. „აქციის“ „დამკვეთი“: შპს „მონდელიზ საქართველო“, საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული იურიდიული პირი, საიდენტიფიკაციო კოდი: 404894575, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 70, 5 სართ.

2.2. „აქციის“ „შემსრულებელი“: „ურბან მედია“ , ყაზახეთის რესპუბლიკის ქვეშ რეგისტრირებული იურიდიული პირი, საიდენტიფიკაციო კოდი: 050840004119, იურიდიული მისამართი: ყაზახეთის რესპუბლიკა, 050004, ქალაქი ალმაატი, ჟიბეკ ჟოლის გამზირი №135, შენობა „ჟიბეკ ჟოლი“, ბლოკი 2, მე-10 სართული, ოფისი 2104 (შემდგომში „შემსრულებელი“), რომელიც მოქმედებს „დამკვეთის“ შეკვეთის საფუძველზე. აქციის შემსრულებელი პასუხისმგებელია აქციის უშუალო განხორციელებაზე მისი მონაწილეებისთვის მაქსიმალური ეფექტურობით.

2.3 „აქციის“ ტექნიკური ოპერატორი ან ოპერატორი: შპს „W“, საიდენტიფიკაციო კოდი: 404415334, იურიდიული მისამართი: საქართველო, 0179, შალვა რატიანის ქ. №17.

გამარჯვებულთა დადგენა, გამარჯვებულების პრიზებით დაჯილდოება, გამარჯვებულებთან ურთიერთქმედება საქართველოს ტერიტორიაზე და ვებ-გვერდზე პრიზების მინიჭების შესახებ ინფორმირების საკითხებზე ახორციელებს აქციის შემსრულებელი აქციის ტექნიკურ ოპერატორთან ერთად.

3. ტერმინთა განსაზღვრება და მნიშვნელოვანი დეტალები:

3.1. **პრომო -კოდი:** 7 (შვიდი) ციფრისა და ასოებისგან შემდგარი კოდი, რომელიც განთავსებულია პრომო შეფუთვის (აქციაში მონაწილე პროდუქტის) შიგნით. გასათვალისწინებელია რომ, პრომო შეფუთვის შიდა მხარეს, არსებული პრომო-კოდის გვერდით ასევე არის გამოსახული სხვადასხვა სახის გრაფიკული გამოსახულება.

აღნიშნული გამოსახულება არ წარმოადგენს არანაირ იურიდიულ/მატერიალურ ღირებულებას და არ ახდენს არანაირ გავლენას პრიზების გამოვლენაზე.

3.2. **საიტი:** www.alpengoldpromo.ge

3.3 **მონაწილე:** პირი რომელიც აქციის პერიოდში დარეგისტრირდა საიტზე, როგორც აქციის მონაწილე, იხელმძღვანელა რა მითითებებით, რომელიც განთავსებულია საიტზე;

3.4 **რეიტინგი:** აქციის რეიტინგი, რომელიც დგება ატვირთული (დადასტურებული) პრომო კოდების რაოდენობის მიხედვით. რეიტინგის ნახვა შესაძლებელია საიტზე. ერთი პრომო კოდი უტოლდება ერთ ქულას. რეიტინგის განახლება ხდება უწყვეტ რეჟიმში. რეიტინგში უპირატესი პოზიცია ენიჭება მას ვისაც უფრო მეტი პრომო კოდი (ქულა) უგროვდება.

4. აქციის ჩატარების ვადა და ადგილი

4.1. აქციის ჩატარების საერთო ვადაა (აქციის ჩატარების პერიოდი, პრიზების გადაცემის პერიოდის ჩათვლით): 2024 წლის 25 სექტემბრიდან 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით (შემდგომში - აქციის ჩატარების პერიოდი).

4.2. აქციის ჩატარების ადგილი: აქცია ტარდება საიტზე: www.alpengoldpromo.ge

4.3. პროდუქციის შეძენის პერიოდი: 2024 წლის 01 სექტემბრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.4. მონაწილეთა მიერ კოდების რეგისტრაციის ვადაა: **2024 წლის 25 სექტემბრის 00 სთ. 00 წუთიდან 2024 წლის 31 დეკემბრის 23 სთ. 59 წუთამდე.**

4.5. აქციაში გამარჯვებულების გამოვლენის, გარანტირებული პრიზების გაცემის თარიღი: 2024 წლის 25 სექტემბრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

4.6. სარეიტინგო პრიზების გაცემის ვადა არის 2024 წლის 01 ოქტომბრიდან 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

4.7. გარანტირებული პრიზი №1 (მობილური ტელეფონის ანგარიშზე ბალანსის შევსება 3 (სამი) ლარის ოდენობით) ჩაირიცხება 8 (რვა) სამუშაო დღის განმავლობაში პირველი, მეორე და მესამე პრომოკოდის დადასტურების თარიღიდან, მაგრამ არაუგვიანეს 2025 წლის 31 იანვრისა.

4.8. გარანტირებული პრიზი №2 („ალპენ გოლდის“ ონლაინ ღია ბარათი, „ალპენ გოლდის“ ონლაინ სტიკერების ნაკრები Telegram-სთვის, „ალპენ გოლდის“ ონლაინ პოზიტივის ტრეკერი) გაიცემა აქციის მსვლელობის მთელი პერიოდის განმავლობაში ამავე წესების პუნქტ 4.1.-ის შესაბამისად.

4.9. აქციის თვეებისა და თარიღების ჩამონათვალი არის შემდეგი:

თვე N1 (ოქტომბერი) - პრომო კოდების ატვრთვის ვადა: 2024 წლის 25 სექტემბერი, 00:00:00 საათიდან 2024 წლის 31 ოქტომბერი, 23:59:59 საათამდე.

თვე N2 (ნოემბერი) - პრომო კოდების ატვრთვის ვადა: 2024 წლის 01 ნოემბერი, 00:20:00 საათიდან 2024 წლის 30 ნოემბერი, 23:59:59 საათამდე.

თვე N3 (დეკემბერი) - პრომო კოდების ატვრთვის ვადა: 2024 წლის 01 დეკემბერი, 00:00:00 საათიდან 2024 წლის 31 დეკემბერი, 23:59:59 საათამდე.

4.10. ყველა ვადა, რომელიც მითითებულია წინამდებარე წესებში, აქ და შემდგომ მოცემულია საქართველოს დროით.

4.11. აქციის ჩატარების იმ ვადების მიუხედავად, რომელიც მითითებულია წინამდებარე წესებში, დამკვეთს უფლება აქვს: ფორსმაჟორის, გაუთვალისწინებული მოვლენების, ჰაკერული თავდასხმების, ტექნიკური შეფერხებების და სხვა დროს მიიღოს გადაწყვეტილება აქციის შეწყვეტისა ან აქციის ჩატარების თარიღის გადატანის შესახებ და პრიზების გაცემის შესახებ, მათ შორის, აქციის საპრიზო ფონდის ამოწურვის შემთხვევაშიც.

5. ტერიტორია, ინფორმირების წესი და აქციაში მონაწილეობა

აქციაში მონაწილეობის მისაღებად მონაწილემ ამ წესების მე-4 პუნქტში მითითებულ აქციის პერიოდში უნდა შეასრულოს შემდეგი ქმედებები შესაბამისი თანმიმდევრობით:

5.1. შეიძინოს მინიმუმ 1 (ერთი) ერთეული სააქციო პროდუქტი სარეკლამო შეფუთვაში, ამ წესების მე-6 პუნქტში მითითებული სიიდან, იპოვოს პრომო კოდი და დაარეგისტრიროს პრომო კოდი საიტზე.

5.2. დამკვეთი/შემსრულებელი/ტექნიკური ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი პრომო კოდის მთლიანობაზე, რომელიც განთავსებულია სარეკლამო შეფუთვაში.

5.3. საიტზე პრომო კოდის დასარეგისტრირებლად, მონაწილე უნდა დარეგისტრირდეს საიტზე.

5.3.1. მონაწილის რეგისტრაცია საიტზე:

• საიტზე დასარეგისტრირებლად მონაწილე უნდა შევიდეს საიტზე, შეარჩიოს ენა - ქართული (საქართველო) და საიტის არჩეულ ვერსიაზე გადასვლის შემდეგ ტელეფონის ნომრის საშუალებით შეარჩიოს გადამოწმების მეთოდი, შემდეგ შეიყვანოს ტელეფონის ნომერი.

• იმ პირობით, რომ ტელეფონის ნომერი სწორად არის შევსებული, მონაწილე მიიღებს გენერირებულ პაროლს (შემდგომში „პაროლი“) მის მობილურ ნომერზე.

• შემდეგ, მონაწილემ უნდა შეიყვანოს მიღებული პაროლი საიტზე შესაბამის ველში, რის შემდეგაც მონაწილე გახსნის სარეგისტრაციო ფორმას (შემდგომში „რეგისტრაციის ფორმა“).

• მონაწილემ უნდა შეავსოს სარეგისტრაციო ფორმის ყველა ველი, ასევე მიუთითოს თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, თანხმობა აქციის წესებზე, თანხმობა Mondelez-ის აქციების შესახებ შეტყობინების მიღებაზე, შესაბამისი ველების მონიშვნით.

• იმ პირობით, რომ სარეგისტრაციო ფორმა სწორად არის შევსებული და წესების 5.3.1 პუნქტში მითითებული ყველა პირობა შესრულებულია, მონაწილე გადამისამართდება საიტზე მის პირად ანგარიშზე.

• საიტზე შესვლისთვის გენერირებული პაროლი არის ერთჯერადი გამოყენების.

• თუ მონაწილე ხელახლა შედის პირად ანგარიშში, ის ავტომატურად არის ავტორიზებული.

თუ საიტზე ბოლო ვიზიტის დროს მონაწილე გამოვიდა თავისი ანგარიშიდან (საიტზე არსებული პირადი ანგარიშიდან), პირად ანგარიშზეშესასვლელად მონაწილემ განმეორებით უნდა მოითხოვოს პაროლი მის ტელეფონის ნომერზე.

• თითოეულ წევრს შეუძლია დარეგისტრირდეს საიტზე მხოლოდ ერთხელ.

• თუ გამოვლინდა, რომ მონაწილე არაერთხელ დარეგისტრირდა საიტზე, დამკვეთს /შემსრულებელს/ტექნიკურ ოპერატორს უფლება აქვს უარი უთხრას ამ მონაწილეს აქციაში მონაწილეობაზე და (ან) პრიზის მიღებაზე.

• საიტზე რეგისტრაციისას მონაწილის მიერ შეყვანილი მონაცემები უნდა იყოს ზუსტი, სწორი და აქტუალური (სანდო). რეგისტრაციისას მითითებული მონაწილის ტელეფონის ნომერი, ისევე როგორც მისი ელ.ფოსტის მისამართი, მონაწილემ უნდა შეინახოს აქციის დასრულებამდე.

• დამკვეთი /შემსრულებელი /ტექნიკურ ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი აქციის მონაწილეების მიერ საიტზე რეგისტრაციისას დაშვებულ შეცდომებზე, ასევე რეგისტრაციისას მითითებული ინფორმაციის სიზუსტეზე და უფლება აქვს უარი უთხრას აქციაში მონაწილეობაზე და/ან აქციის პრიზის გადაცემაზე იმ მონაწილეებისთვის, რომელთა მონაცემები არასწორად იყო შევსებული.

5.4 „აქცია“ მოქმედებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და ტარდება ინტერნეტით, ვებგვერდზე: www.alpengoldpromo.ge (შემდგომში „საიტი“).

5.5 აქციის შესახებ ინფორმაციის მიღების გზები:

ინფორმაცია აქციის შესახებ, დამკვეთის, შემსრულებლის, ტექნიკური ოპერატორის შესახებ, აქციის წესები, გამარჯვებულების გამოვლენის პროცედურის, პრიზების რაოდენობის, მათი მიღების დროის და პროცედურის, აგრეთვე პირობების ნებისმიერი ცვლილების შესახებ განთავსებულია აქციის ვებგვერდზე (მთავარ გვერდზე) და დამატებით გაცნობა შეიძლება შემდეგი ფორმით:

1) საინფორმაციო „ცხელი ხაზით“ ნომერზე: 0-800-100-111 (ზარები საქართველოში უფასოა);

2) აქციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ელექტრონული ფოსტით: consumercareeua@mdlz.com.

5.6 საინფორმაციო „ცხელი ხაზი“ მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

5.7 დამკვეთი/შემსრულებელი/ტექნიკური ოპერატორი იტოვებენ უფლებას არ აწარმოონ წერილობითი მოლაპარაკებები, ან გააფორმონ ხელშეკრულებები „აქციის“ მონაწილეებთან, გარდა წინამდებარე „წესებში“ განსაზღვრული, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული და სადავო ვითარებების წარმოშობის შემთხვევებისა.

6. აქციაში მონაწილე პროდუქცია

6.1. „აქციაში“ მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქცია სასაქონლო ნიშნით „Alpen Gold®“ (შემდგომში „სააქციო პროდუქტი“ ან „სააქციო პროდუქცია“), რომელიც სპეციალური შეფუთვით გამოდის (შემდგომში „პრომო-შეფუთვა“), შეფუთვის შიგნით პრომო-კოდით. პრომო კოდი 7 ციფრისა და ასოებისგან შემდგარ კოდს წარმოადგენს (შემდგომში „პრომო-კოდი“):

საქონლის დასახელება
რძიანი შოკოლადი ალპენ გოლდი, 80 გრ
რძიანი შოკოლადი ალპენ გოლდი თხილით, 80 გრ
თეთრი შოკოლადი ალპენ გოლდი ნუშით და ქოქოსის ფანტელით, 80 გრ
რძიანი შოკოლადი ალპენ გოლდი თხილით და ქიშმიშით, 80 გრ

7. აქციის მონაწილეები

7.1 „აქციაში“ მონაწილეობის მიღება შეუძლია 18 წელს მიღწეულ ფიზიკურ პირებს: საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და შეასრულეს აქციაში მონაწილეობისთვის საჭირო ქმედებები ამ წესების შესაბამისად (შემდგომში ერთად „მონაწილეები“, ცალკე „მონაწილე“).

18 წელს მიღწეული პირების „აქციაში“ მონაწილეობა დასაშვებია მხოლოდ ამგვარი პირების სრული ქმედითუნარიანობის შემთხვევაში.

7.2. აქციის მონაწილე არ შეიძლება იყოვნენ:

- პირები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ 7.1 მუხლის პირობებს;
- დამკვეთის/შემსრულებელის/ტექნიკური ოპერატორის თანამშრომლებს;
- მოქალაქეობის არმქონე ან სხვა ქვეყნის მოქალაქე პირებს;
- პირებს, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით ეკრძალებათ აქციაში მონაწილეობა.

7.3. პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, აგრეთვე 7.1 და 7.2 პუნქტებით განსაზღვრული პირები, მიუხედავად საიტზე რეგისტრაციისა და აქციაში მონაწილეობისთვის საჭირო ქმედებების შესრულებისა (მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების ჩათვლით და ა.შ) არ იძენენ მონაწილის სტატუსს. პრიზები არ მიეწოდება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.

თუ გამოვლინდა 7.2 და სხვა მუხლებით განსაზღვრული პირის მონაწილეობის ფაქტი, დამკვეთს / შემსრულებელს / ტექნიკურ ოპერატორს უფლება აქვს უარი უთხრას აღნიშნულ პირს აქციაში მონაწილეობაზე და/ან პრიზის გადაცემაზე.

8. აქციის საპრიზო ფონდი

აქციის საპრიზო ფონდი შეზღუდულია და შეიცავს შემდეგ პრიზებს:

- გარანტირებული პრიზი

- სარეიტინგო პრიზი

8.1 გარანტირებული პრიზი N1: მობილური ტელეფონის ანგარიშზე ბალანსის შევსება 3 (სამი) ლარის ოდენობით. **გარანტირებული პრიზი N1 რაოდენობა არის შეზღუდული და აქციის მთელი პერიოდის განმავლობაში არის: 55 000 ორმოცდათხუთმეტი ათასი) ცალი.**

დარჩენილი გარანტირებული პრიზის რაოდენობის ზუსტი მონაცემები გამოქვეყნდება საიტზე, შესაბამისად ყველა მონაწილეს ექნება საშუალება რომ ლაივ რეჟიმში მიიღოს ინფორმაცია დარჩენილი გარანტირებული პრიზის რაოდენობების შესახებ.

მას შემდეგ, რაც N1 (მობილური ტელეფონის ანგარიშზე ბალანსის შევსება ლარის ოდენობით) გარანტირებული პრიზის **რაოდნობა ამოიწურება, ვერცერთი მონაწილე ვეღარ მიიღებს გარანტირებულ პრიზს N1.**

8.1.1. გარანტირებული პრიზი N2: მონაწილის სურვილისამებრ არჩევითობით შემდეგი სამიდან ერთს:

- „ალპენ გოლდის“ ონლაინ ღია ბარათი

- „ალპენ გოლდის“ ონლაინ სტიკერების ნაკრები Telegram-სთვის

- „ალპენ გოლდის“ ონლაინ პოზიტივის ტრეკერი

გარანტირებული პრიზი N2-ის რაოდენობა არ არის შეზღუდული.

8.1.2. 8.1. და 8.1.1. პუნქტებში მითითებული გარანტირებული პრიზები გაიცემა ამავე წესების 4.7. და 4.8. პუნქტების შესაბამისად აქციის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში

8.1.3. საპრიზო ფინდის (რაოდენობის) ამოწურვის შემდეგ პრიზები აღარ გაიცემა.

8.2 სარეიტინგო პრიზები:

თვე N1 - ოქტომბერი (პერიოდი: 25 სექტემბერი 2024 წ. – 31 ოქტომბერი 2024 წ.):

ადგილი რეიტინგში	პრიზის დასახელება	პრიზის აღზერა	პრიზების რაოდენობა ჯამში
1	Apple MacBook	Apple MacBook Air 13 inch. 8GB/256GB	1
2	Apple iPhone 15	Apple iPhone 15, 128 GB	1
3-4	APPLE AirPods	APPLE AirPods Max	2
5-6-7	Apple Watch	Apple Watch	3
8-დან 14-ჩათვლით	JBL GO	JBL GO 3	7
15-დან 34-ჩათვლით	Xiaomi Redmi Portable Power Bank	Xiaomi Redmi Portable Power Bank 10000 mAh	20
35-დან 54-ჩათვლით	ვაუჩერი „Veli.Store „	ვაუჩერი „Veli.Store“. 30 ლარის ნომინალის. ელექტრონული ვაუჩერი	20

თვე N2 ნოემბერი (პერიოდი: 01 ნოემბერი 2024 წ.– 30 ნოემბერი 2024 წ.):

ადგილი რეიტინგში	პრიზის დასახელება	პრიზის აღზერა	პრიზების რაოდენობა ჯამში
1	Apple MacBook	Apple MacBook Air 13 inch. 8GB/256GB	1
2	Apple iPhone 15	Apple iPhone 15, 128 GB	1
3-4	APPLE AirPods	APPLE AirPods Max	2
5-6-7	Apple Watch	Apple Watch	3
8-დან 14-ჩათვლით	JBL GO	JBL GO 3	7
15-დან 34-ჩათვლით	Xiaomi Redmi Portable Power Bank	Xiaomi Redmi Portable Power Bank 10000 mAh	20
35-დან 54-ჩათვლით	ვაუჩერი „Veli.Store „	ვაუჩერი „Veli.Store“. 30 ლარის ნომინალის. ელექტრონული ვაუჩერი	20

თვე N3 დეკემბერი (პერიოდი: 01 დეკემბერი 2024 წ.– 31 დეკემბერი 2024 წ.):

ადგილი რეიტინგში	პრიზის დასახელება	პრიზის აღზერა	პრიზების რაოდენობა ჯამში
1	Apple MacBook	Apple MacBook Air 13 inch. 8GB/256GB	1

2	Apple iPhone 15	Apple iPhone 15, 128 GB	1
3-4	APPLE AirPods	APPLE AirPods Max	2
5-6-7	Apple Watch	Apple Watch	3
8-დან 14-ჩათვლით	JBL GO	JBL GO 3	7
15-დან 34-ჩათვლით	Xiaomi Redmi Portable Power Bank	Xiaomi Redmi Portable Power Bank 10000 mAh	20
35-დან 54-ჩათვლით	ვაუჩერი „Veli.Store „	ვაუჩერი „Veli.Store“. 30 ლარის ნომინალის. ელექტრონული ვაუჩერი	20

9. პრიზების მიმღების გამოვლენის წესები

9.1. გარანტირებულ პრიზს მიიღებს ის მონაწილე რომელიც წარმატებით დარეგისტრირდება საიტზე, და წარმატებით (საიტის მეშვეობით დაუდასტურდება) ატვირთავს მინიმუმ 1 პრომო კოდს. ყოველ წარმატებით ატვირთულ პრომო კოდზე მონაწილე მიიღებს ერთ გარანტირებულ პრიზეს.

ერთ მონაწილეს, აქციის მთლიანი პერიოდის განმავლობაში შეუძლია მიიღოს მხოლოდ 3 (სამი) ცალი გარანიტრებული პრიზი N1 (მობილური ტელეფონის ანგარიშზე ბალანსის შევსება სამი ლარის ოდენობით). მე-4 და ყოველ შემდგომ გარანტირებულ პრიზს წარმოადგენს გარანტირებული პრიზი N2.

9.2. სარეიტინგო პრიზის მიმღებად გამოვლინდებიან ის მონაწილეები, რომლებიც დადასტურებული პრომო კოდების მეშვეობით რეიტინგში დაიკავებენ 8.2. პუნქტში მითითებულ ადგილებს.

ყოველი ახალი თვის დაწყებისას, წინა თვის რეიტინგი ნულდება და კოდების რაოდენობების ათვლა დაიწყება 0-დან.

ერთ მონაწილეს, აქციის მთლიანი პერიოდის განმავლობაში შეუძლია მიიღოს მხოლოდ 1 (ერთი) სარეიტინგო პრიზი.

თუ ორ ან მეტ მონაწილეს დაუგროვდება რეიტინგში თანაბარი ქულები, უპირატესობა მიენიჭება იმ მონაწილეს რომელმაცუკანასკნელი პრომო კოდი ატვირთა სხვა მონაწილეებზე ადრე.

10. აქციის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები

10.1. მონაწილეებს უფლება აქვთ:

- გაეცნონ აქციის წესებს და მიიღონ ინფორმაცია იმ წყაროებიდან, რომელიც მოხსენიებულია წინამდებარე წესებში.
- მიიღონ აქციაში მონაწილეობა წინამდებარე წესებით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

- მიიღონ პრიზები აქციის შესაბამისი პირობების დაცვით, რომელსაც ითვალისწინებს წინამდებარე წესები;

- განაცხადონ თავიანთი უარი აქციაში მონაწილეობაზე და/ან პრიზის მიღებაზე. მონაწილე ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია და ეთანხმება იმას, რომ იგი ავტომატურად კარგავს ყველა თავის უფლებას მიიღოს პრიზი, დამკვეთისთვის აქციაში მონაწილეობისა და/ან პრიზის მიღებაზე უარის შესახებ წერილობითი შეტყობინების, ან ცხელ ხაზზე შეტყობინების, ან საიტზე განყოფილება „კონტაქტი"-ში შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან. აქციიდან მონაწილის მოხსნის შესახებ დამკვეთი/შემსრულებელი/ ტექნიკური ოპერატორი მონაწილეს უგზავნის შეტყობინებას საიტზე დარეგისტრირებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

- აქციის მონაწილის აქციიდან მოხსნის ან აქციაში მონაწილეობაზე და/ან პრიზის მიღებაზე უარი მონაწილეს ართმევს უფლებას წარადგინოს დამკვეთის/შემსრულებელის/ ტექნიკური ოპერატორის მისამართით პრტენზიები, მათ შორის, მოითხოვოს შემსრულებელისგან ნებისმიერი სახის კომპენსაცია.

10.2. მონაწილეები ვალდებულნი არიან:

- ყურადღებით გაეცნონ აქციის წესებს აქციაში მონაწილეობამდე.

- მიაწოდონ დამკვეთს / შემსრულებელს / ტექნიკურ ოპერატორს ჭეშმარიტი, სანდო და აქტუალური ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ, აქციის წესების შესაბამისად.

- შეასრულონ აქციის წესები, მათ შორის აქციაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო მოქმედებების შესრულება ვადებში და ამ წესებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

- ატვირთონ პრომო კოდი მართებულად და შეცდომის გარეშე. იმ შემთხვევაში თუ მონაწილე პრომო კოდს ატვირთავს შეცდომით ზედიზედ სამჯერ, მისი ანგარიში დაიბლოკება 24 საათის განმავლობაში.

- დაფარონ აქციაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, ინტერნეტის, ტელეფონის და სხვა ხარჯების ჩათვლით. დამკვეთი არ იღებს მითითებულ ხარჯებს, და არ აყალიბებს აქციის საპრიზო ფონდს ამ გადახდების ხარჯზე.

- **პრიზების გაცემის ვადის ბოლომდე შეინახონ დარეგისტრირებული კოდების პრომო შეფუთვა.** დამკვეთის/შემსრულებელის/ ტექნიკური ოპერატორის მოთხოვნით წარმოადგინონ აქციაში დარეგისტრირებული კოდების ორიგინალები (პრომო შეფუთვა). იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთს/შემსრულებელს/ ტექნიკურ ოპერატორს მისი მოთხოვნის საფუძველზე არ წარუდგენენ პრომო კოდის ორიგინალს (პრომო შეფუთვა), დამკვეთს/შემსრულებელს/ ტექნიკურ ოპერატორს უფლება აქვს აქციაში მონაწილეობიდან ამოიღოს მოცემული კოდები, ასევე არ ცნოს აქციის მონაწილე გამარჯვებულად და უარი უთხრას მას პრიზის გადაცემაზე.

- ხელი მოაწერონ შემსრულებლის ან უფლებამოსილი პირების მიერ წარდგენილ ყველა აუცილებელ დოკუმენტს (მათ შორის, პრიზის მიღება-ჩაბარების აქტს, პერსონალური

მონაცემების დამუშავების შესახებ თანხმობის საბუთს), იმ შემთხვევაში, თუკი მონაწილე პრეტენზიას აცხადებს აქციის პრიზების მიღებაზე.

მონაწილეთათვის პრიზების მოგებისა და მიწოდების შესახებ შეტყობინების გაგზავნის მიზნით (მოგების შემთხვევაში), საინფორმაციო შეტყობინების გაგზავნის, აქციის მონაწილესთან ინდივიდუალური ურთიერთობის, აქციაში მონაწილე პირთა რეესტრის წარმოებისა და მათი იდენტიფიკაციის, აქციის გამარჯვებულთა სიის გამოქვეყნების მიზნით, აქციის მონაწილეები ვალდებულებას იღებენ წარუდგინონ შემსრულებელს შემდეგი ინფორმაცია (პერსონალური მონაცემები): გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, მობილური ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პერსონალური ნომერი.

10.3 **აქციის შემსრულებლის მოთხოვნით (კერძოდ, წინამდებარე წესების დარღვევის შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში) მონაწილე ვალდებულია:**

10.3.1. დამკვეთის მიერ მარკეტინგული ანალიზის ჩატარებისა და სტატისტიკური ინფორმაციის მომზადების მიზნით, სურვილისამებრ, მიაწოდოს ცნობები მონაწილის მიერ პროდუქციის გამოყენების სიხშირის შესახებ მონაწილის მიერ უპირატესობამინიჭებული შოკოლადის მარკების შესახებ.

10.3.2 პიროვნების იდენტიფიცირების მიზნით, ინტერნეტ-საიტზე მონაწილის რეგისტრაციისას მითითებული ასაკისა და ცნობების უტყუარობის დასადასტურებლად წარმოადგინოს ცნობები საქართველოს მოქალაქის პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის შესახებ.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე შემსრულებელს არ წარუდგენს ცნობებს, რომლებიც მითითებულია წინამდებარე წესების 10.3.2. პუნქტში მონაწილისათვის შემსრულებლის/ტექნიკური ოპერატორის მიერ მიმართვის გაგზავნის მომენტიდან ან მონაწილის რეგისტრაციისას არასარწმუნო ან არასრული ცნობების არსებობის გამოვლენის ფაქტიდან, ან წესების, ან საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში, შემსრულებელს უფლება აქვს გააუქმოს მონაწილის რეგისტრაცია, უარი უთხრას მონაწილეს საიტზე წვდომაზე, უარი განუცხადოს პრიზის გაცემაზე და მომავალში აქციაში რაიმე სხვა სახით მოცემული მონაწილის მონაწილეობაზე და ასევე, ყველა იმ პირის მონაწილეობაზე, რომლებიც იყენებდნენ ან მომავალშიც გამოიყენებენ ასეთი მონაწილის მიერ საიტზე რეგისტრაციისას მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერს, ელექტრონულ საფოსტო მისამართს, ან გვარს და სახელს. ამასთან ერთად, შემსრულებელს უფლება აქვს შეინახოს ასეთი მონაწილის პერსონალური მონაცემები.

10.5. პრიზი გადაეცემა მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც რეგისტრაციის დროს იყვნენ სრულწლოვნები (18 წლის და ზევით).

11. დამკვეთის/შემსრულებელის/ ტექნიკური ოპერატორის უფლებები და მოვალეობები

11.1. დამკვეთს/შემსრულებელს/ ტექნიკურ ოპერატორს უფლება აქვს:

11.1.1. უარი უთხრას პრიზის გაცემაზე იმ მონაწილეს, რომელმაც წესების შესაბამისად არ დაარეგისტრირა კოდი, ან დაარეგისტრირა კოდი ასეთი წესის დარღვევით.

11.1.2. არ ცნოს აქციის მონაწილედ და უარი უთხრას რაიმე სახის პრიზის გადაცემაზე პირებს, რომლებიც მითითებულნი არიან წინამდებარე წესების 7.2 პუნქტში.

11.1.3. აქციის დამკვეთს/შემსრულებელს/ ტექნიკურ ოპერატორს უფლება აქვს ბათილად სცნოს მონაწილეობის შესახებ ყველა ან ნებისმიერი განაცხადი, ასევე აუკრძალოს წინამდებარე აქციაში შემდგომი მონაწილეობა ნებისმიერ პირს, რომელიც აყალბებს ან/და სარგებელს იღებს ნებისმიერი გაყალბებით ან აქციაში მონაწილეობისათვის განაცხადის შეტანის პროცესის დარღვევით და პრომო კოდის რეგისტრაციით (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, პრომო კოდების გაყიდვა/ გაცვლა/ შეძენა/გადაცემა/ ჩუქება), ან ახორციელებს ქმედებას ნებისმიერი იმ სხვა პირის შეურაცხყოფის, მუქარის, სიმშვიდის დარღვევის მიზნით, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული წინამდებარე აქციასთან ან ახორციელებს ნებისმიერ სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ან თუკი მონაწილე საჯაროდ უარყოფითად მოიხსენიებს შემსრულებლის ნებისმიერ პროდუქციას, ანდა მონაწილის მონაწილეობა აქციაში ატარებს შემსრულებლისათვის რეპუტაციის შემლახავ რისკს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, შემსრულებელი უფლებას იტოვებს მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

11.1.4. დამკვეთს/შემსრულებელს/ ტექნიკურ ოპერატორს უფლება აქვს, უაპელაციოდ და ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება და დაბლოკოს მონაწილე.

11.1.5. დამკვეთს/შემსრულებელს/ ტექნიკურ ოპერატორს უფლება აქვს უარი უთხრას მონაწილეს პრიზის გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუკი მონაწილეს არ შეუძლია წარმოადგინოს პრომო შეფუთვის ორიგინალი (პრომო შეფუთვა) და თუკი ვერ ხდება პიროვნების იდენტიფიცირება.

11.1.6. დამკვეთს/შემსრულებელს/ ტექნიკურ ოპერატორს უფლება აქვს, უაპელაციოდ და ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება და უარი უთხრას მონაწილეს პრიზის გაცემაზე.

11.1.7. დამკვეთი/შემსრულებელი/ ტექნიკური ოპერატორი იტოვებს უფლებას არ შევიდეს მონაწილესთან წერილობით მოლაპარაკებებში ან მონაწილეებთან სხვა კონტაქტში, იმ შემთხვევების გარდა, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე წესებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

11.1.8. ცალმხრივი წესით შეწყვიტოს, შეცვალოს ან შეაჩეროს აქციის ჩატარება, იმ შემთხვევაში თუ რაიმე მიზეზით წინამდებარე აქციის ნებისმიერი ასპექტი ვერ ჩატარდება ისე, როგორც ეს დაგეგმილი იყო, იმ მიზეზების ჩათვლით, რომელიც გამოწვეულ იქნება რაიმე სახის პანდემიით თუ ეპიდემიით, კომპიუტერული ვირუსებით დაზიანების, მობილური ქსელის გაუმართაობით, დეფექტებით, მანიპულირებით, არასანქცირებული ჩარევით, გაყალბებით, ტექნიკური დაზიანებებით ან სხვა ნებისმიერი მიზეზით, რომელიც ვერ კონტროლდება დამკვეთის/შემსრულებელის/ ტექნიკური ოპერატორის მიერ, რომელიც გავლენას ახდენს და ეხება შესრულებას, უსაფრთხოებას, პატიოსნებას, ერთიანობას ან აქციის სათანადოდ ჩატარებას ან თუ აქციის ჩატარება მთლიანად და ნაწილობრივ იქნება აკრძალული უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ.

11.1.9. განაცხადოს უარი პრეტენზიის განხილვაზე მიუღებელ პრიზებთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ პრიზი არ იყო დროულად მიღებული მონაწილის მიერ. პრიზი არ შეიძლება გამოთხოვილ იქნას მონაწილის მიერ განმეორებით. შემსრულებელი არ იღებს

პასუხისმგებლობას მესამე პირთა, მათ შორის მობილური ქსელების ოპერატორებსა და ინტერნეტ-პროვაიდერების და ფოსტის მუშაობის ხარისხსა და მოქმედებაზე.

11.2. დამკვეთი/შემსრულებელი/ ტექნიკური ოპერატორი არ იღებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში თუ პრიზი გაგზავნილი იქნება მონაწილის მიერ წარდგენილი არაზუსტ ან არასწორი მონაცემების შესაბამისად, არასწორ ან არარსებულ ტელეფონის ნომერზე.

11.3. დამკვეთი/შემსრულებელი/ ტექნიკური ოპერატორი არ იღებს პასუხისმგებლობას მონაწილის შეცდომების რაიმე შედეგზე, უკანასკნელის მიერ გაღებული (სხვა დანარჩენის მიუხედავად) დანახარჯების ჩათვლით.

11.4. დამკვეთი/შემსრულებელი/ ტექნიკური ოპერატორი არ იღებს პასუხისმგებლობას მონაწილის მიერ წინამდებარე წესების შესაბამისად მისი მოვალეობების შეუსრულებლობის ან არადროულად შესრულებისათვის.

11.5. დამკვეთი/შემსრულებელი/ ტექნიკური ოპერატორი ვალდებულია:

11.5.1. მისცეს პრიზები იმ მონაწილეებს, რომლებიც ასრულებენ წინამდებარე წესებით გათვალისწინებული აქციის პირობებს, აქციის მთელი საპრიზო ფონდის ფარგლებში, წინამდებარე წესების თანხად.

11.5.2. აქციის ჩატარების ვადამდე შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ გამოაქვეყნოს ამის შესახებ შეტყობინება საიტზე.

12. მონაწილის თანხმობა პერსონალური მონაცემების მოგროვებასა და დამუშავებაზე

12.1. „აქციაში“ მონაწილეობის ფაქტი ადასტურებს „მონაწილის“ „აქციის პირობებზე“ უპირობოდ დათანხმებას, ასევე წარმოადგენს „მონაწილის“ მიერ თანხმობის თავისუფალ, კონკრეტულ, ინფორმირებულ და შეგნებულ გამოხატულებას მისი პერსონალური მონაცემების “) დამკვეთის/შემსრულებელის/ ტექნიკური ოპერატორის მიერ მოგროვებასა და დამუშავებაზე (შემდგომში „თანხმობა), შემდეგი მიზნების მიღწევას: „მონაწილეებისთვის“ პრიზების, მოგების შესახებ შეტყობინების, „შემსრულებელის“ პროდუქციის ინფორმაციის და მის მიერ ჩატარებული ღონისძიებების, სარეკლამო შეთავაზებების მისაწოდებლად, ასევე მარკეტინგული ანალიზის ჩატარების, სტატისტიკური ინფორმაციის მომზადების, საგადასახადო ვალდებულებების შესრულების და საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი მიზნების მიღწევის მიზნით.

12.2. „მონაწილე“ აცხადებს თანხმობას შემდეგ პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით:

- სახელი, გვარი, მამის სახელი (თუ მითითებულია საიდენტიფიკაციო დოკუმენტში);
- „მონაწილის“ პირადი ნომერი და პასპორტის/პირადობის სურათი
- საკონტაქტო მონაცემები (საცხოვრებელი მისამართი, პრიზების მიწოდების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მობილური ტელეფონის ნომერი);
- „მონაწილის“ მიერ ნებაყოფლობით გაცემული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია.

12.3. მონაწილე აცხადებს „თანხმობას“ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით შემდეგ მოქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც ხორციელდება ავტომატიზებული დამუშავების, არა ავტომატიზებული დამუშავების (ავტომატიზაციის საშუალებების გამოუყენებლად), პერსონალური მონაცემების დამუშავების შერეული მეთოდის გამოყენებით: პერსონალური მონაცემების მოგროვება, ჩაწერა, სისტემატიზაცია, დაგროვება, შენახვა, დაზუსტება (განახლება, ცვლილება), დამატება, გამოყენება, ამოღება, გავრცელება, გაუსახურება, ბლოკირება, წაშლა და განადგურება, ტრანსსასაზღვრო გადაცემა უცხო ქვეყნების ტერიტორიებზე, ასევე ნებისმიერი სხვა მოქმედების განხორციელება „მონაწილის“ პერსონალური მონაცემებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

„მონაწილე“ ასევე აცხადებს თანხმობას, „წესების“ 12.3 პუნქტში მითითებული მიზნების მიღწევის მიზნით (პერსონალური მონაცემების დამუშავებისას კონფიდენციალურობის დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობით) მისი პერსონალური მონაცემები გადაეცეს მესამე პირებს, მათ შორის, შეუზღუდავად: „აქციის“ „შემსრულებელს, „Mondelēz International“-ის კომპანიების ჯგუფის წევრებს, სხვა პირებს, რომლებიც ახორციელებენ პერსონალური მონაცემების დამუშავებას „ოპერატორის“ დავალებით, მათ შორის მონაცემების ტრანსსასაზღვრო გადაცემისას.

12.4. დამკვეთი „თანხმობას“ იღებს 3 წლის ვადით.

12.5. „მონაწილემ“ შესაძლოა გამოიხმოს „თანხმობა“ ნებისმიერ მომენტში, მისი მოქმედების პერიოდში, დამკვეთის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: consumercareeua@mdlz.com მისი გამოხმობის შესახებ წერილობითი განცხადების გაგზავნის გზით.

„თანხმობის“ გამოხმობის შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია შეწყვიტოს პერსონალური მონაცემების დამუშავება ან უზრუნველყოს ამგვარი დამუშავების შეჩერება (თუ პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება სხვა პირის მიერ, რომელიც მოქმედებს დამკვეთის დავალებით) და გაანადგუროს პერსონალური მონაცემები ან უზრუნველყოს მათი განადგურება (თუ პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება სხვა პირის მიერ, რომელიც მოქმედებს დამკვეთის დავალებით) გამოხმობიდან მაქსიმუმ 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც დამკვეთს აქვს უფლება განახორციელოს პერსონალური მონაცემების დამუშავება, პერსონალური მონაცემების სუბიექტის თანხმობის გარეშე, „პერსონალური მონაცემების და მათი დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

12.6. „აქციაში“ მონაწილეობით „მონაწილე“ კისრულობს ვალდებულებას წარმოადგინოს ზუსტი, აქტუალური (სანდო) პერსონალური მონაცემები, კუთვნილი მობილური ტელეფონის ნომრები.

12.7. აქციის მონაწილეთა პერსონალური მონაცემები ინახება და დამუშავდება საქართველოს კანონმდებლობის, კერძოდ კი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

13. აქციის სხვა პირობები

13.1. „აქციაში“ მონაწილეობით „მონაწილე“ ადასტურებს, რომ:

13.1.1. ის გაეცნო და ეთანხმება „აქციის“ ჩატარებისა და მასში მონაწილეობის ყველა წესს წესს და მისი პერსონალური მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას.

13.1.2. დამკვეთი/შემსრულებელი/ტექნიკური ოპერატორი უფლებამოსილია „მონაწილის“ შესახებ მასალების მედიაში, ინტერნეტ სივრცეში განთავსებამდე, დაარედაქტიროს ის, „მონაწილესთან“ წინასწარი შეთანხმების გარეშე.

13.2. აქციის დამკვეთს/შემსრულებელს/ტექნიკურ ოპერატორს აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ და „მონაწილეებისთვის“ მიზეზების განმარტების და მათთან მიმოწერის წარმოების გარეშე, ბათილად ცნოს „აქციის“ „მონაწილეთა“ ნებისმიერი ქმედება, ასევე აკრძალოს მათი „აქციაში“ მონაწილეობა, უარი თქვას პრიზის გადაცემაზე ნებისმიერი პირისთვის, რომელთან მიმართებითაც დამკვეთს/შემსრულებელს/ტექნიკურ ოპერატორს გაუჩნდება საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ „მონაწილე“ აყალბებს მონაცემებს ან სარგებელს იღებს მონაცემების ნებისმიერი გაყალბებიდან.

13.3. „აქციაში“ მონაწილეობით, თითოეული „მონაწილე“ აცხადებს თანხმობას „აქციის ვადის“ განმავლობაში მობილურ ტელეფონზე, ელექტრონული ფოსტის მისამართზე მიიღოს ტექსტური შეტყობინება, სიახლეები და სხვა სახის საინფორმაციო/სარეკლამო შეტყობინება დამკვეთის/შემსრულებელის/ტექნიკური ოპერატორის ან მათ მიერ უფლებამოსილი პირებისგან მონაწილეს აქვს უფლება ნებისმიერ მომენტში უარი განაცხადოს მითითებული ინფორმაციის მიღებაზე, ელექტრონულ ფოსტაზე: consumercareeua@mdlz.com შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. თანხმობის გამოხმობით გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა აღარ მოხდება სარეკლამო მიზნებისათვის მონაწილის მონაცემების დამუშავება და ის აღარ მიიღებს სარეკლამო შეტყობინებებს.

13.4. ისეთი ვითარების წარმოშობის შემთხვევაში, რომელიც დაუშვებს წინამდებარე „წესების“, ნებისმიერი სადავო საკითხ(ებ)ის არაერთგვაროვან განმარტებას, არ რეგულირდება წინამდებარე „წესებით“. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დამკვეთი/შემსრულებელი/ტექნიკური ოპერატორი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

13.5. ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე „წესებში“,დამკვეთი/შემსრულებელი/ტექნიკური ოპერატორი, „აქციის მონაწილეები“ იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.